ნესტან სულავა

ეთნიკური და აღმსარებლობითი პოლემიკის ასახვა ქართულ ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში

მოკლე შინაარსი

საქართველო თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო მუდმივად იბრძოდა უცხოტომელთა წინააღმდეგ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი იდენტობის შესანარჩუნებლად და ქრისტიანული რელიგიის დასაცავად. ქართულმა ჰაგიოგრაფიამ და ჰიმნოგრაფიამ, სხვა საკითხებთან ერთად, ეს პრობლემაც წარმოაჩინა და მას კონცეპტუალური მნიშვნელობა მიანიჭა. ქართული ეკლესიის პირველი წამებულები ქართველები არ იყვნენ, კერძოდ, წმ. შუშანიკ დედოფალი, წმ. ევსტათი მცხეთელი, წმ. აბო თბილელი. სტატიაში ნაჩვენებია, თუ როგორაა ასახული ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში ეთნიკურობისა და აღმსარებლობითი საკითხი ცალკეული წმინდანის ხატ-სახის წარმოსახვისას. ამ თვალთახედვითაა განხილული ჰაგიოგრაფიული თხზულებები: იაკობ ხუცესის „წმ. შუშანიკის წამება“, ანონიმის მიერ შექმნილი „წმ. ევსტათი მცხეთელის წამება“, იოანე საბანის ძის „წმ. აბოს წამება“, ბავშვების წამების ამსახველი თხზულებები, „წმ. კონსტანტი კახის წამება“, სტეფანე მტბევრის „წმ. გობრონის წამება“, „წმ. ილარიონ ქართველის ცხოვრება“, გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“ და მთაწმინდელ მამათა „ცხოვრებანი“. ჰიმნოგრაფიული თხზულებებიც კვალდაკვალ მისდევენ ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებებს და ამ მხრივ მათგან არ განსხვავდებიან.

Nestan Sulava

REFLECTION OF ETHNIC AND CONFESSIONAL POLEMICS IN GEORGIAN HAGIOGRAPHY AND HYMNOGRAPHY

Abstract

Due to its geopolitical location Georgia constantly struggled against foreign tribes to protect its political and national identity and the Christian religion. Georgian hagiography and hymnography presented this problem together with the other ones and gave it the conceptual meaning. First Martyrs of the Georgian church were not Georgians. e.g. St. Queen Shushanik, St. Evstati Mtskheteli, St. Abo Tbileli. The article shows how hagiography and hymnography represent the issue of ethnicity and confession to describe and show separate saint's icon-imagination. Following hagiographical works such as: "The Torture of St.

Shushanik" by Iakob Khutsesi, "The Torture of Evstati Mtskheteli" by an anonymous author, "The Torture of St. Abo" by Ioanne Sabanisdze, the works describing children's torture, "The Torture of St. Konstanti Kakhi", "The Torture of St.Gobroni" by Stephane Mtbevri, "The Life of St. Ilarion Kartveli", "The Life of Grigol Khandzteli" by Giorgi Merchule and "The Life" of Mtatsmindeli Fathers are analyzed from this point of view. Hymnographic works follow after hagiographic ones step by step and don't differ from them in this regard.

საკვანძო სიტყვები: ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია, ეთნიკური, აღმსარებლობა, ქრისტიანობა.

Key words: Hagiography, Hymnography, ethnic, religion, Christianity.

შესავალი. ქართულ კულტურაში ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური პრობლემატიკა უაღრესად მნიშვნელოვან ადგილს იჭერს, რადგან საქართველოს მუდმივად უწევდა ბრძოლა უცხოტომელთა წინააღმდეგ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად და ქრისტიანული რელიგიის დასაცავად. ძველ ქართულ მწერლობაში, კერძოდ, ჰაგიოგრაფიასა და ჰიმნოგრაფიაში, რელიგიურ-აღმსარებლობითი საკითხი კონცეპტუალურია.

კვლევის მეთოდი. ჰაგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის კვლევისას აუცილებელია ჟანრული სპეციფიკის გათვალისწინება, რადგან ჰაგიოგრაფია დინამიკაში, თანდათანობით აჩვენებს წმინდანის სახის ამაღლებასა და სრულყოფას. წმინდანს იმთავითვე არ ახასიათებს ადამიანის ამამაღლებელი თვისებები, მასში თანდათანობით ყალიბდება იდეალური ხატ-სახე, რაც, ცხადია, მაცხოვრის ჰიპოდიგმითაა შთაგონებული. ჰიმნოგრაფია კი სტატიკაში აჩვენებს წმინდანს, რომელშიც არაფერი შეიცვლება, იგი ამაღლებული სახით წარდგება ღვთის წინაშე და ჰიმნოგრაფი მას ამგვარ საფუძველზე აქებს. საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი სხვადასხვა ეპოქის მკითხველი ნებისმიერ თხზულებას ახლებურად, თავისი ეპოქის ლიტერატურული პრინციპებისა და მოთხოვნების კვალობაზე კითხულობს, რაც თხზულებას წინა პერიოდის ლიტერატურული ტრადიციებისაგან განსხვავებულად, სულ სხვა ესთეტიკური ღირებულების ნაწარმოებად აღგვაქმევინებს. მართალია, ჰაგიოგრაფია მხატვრულ-ესთეტიკური ფენომენის მდგრადობით,

სახისმეტყველებითი პრინციპების ერთიანობითა და ფორმალური ეკვივალენტების დაცვით გამოირჩევა, მაგრამ მისი განხილვაც შეიძლება ახალი ეპოქის ლიტერატურული გემოვნების, ოღონდ ჟანრისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნების, მსოფლმხედველობრივი, იდეური და კომპოზიციურ-სტილური შრეების გათვალისწინებით. მიუხედავად ამისა, ჰაგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის კვლევისას ყოველთვის უნდა გავითვალისწინოთ, რომ მათი პერსონაჟი წმინდანია, ამქვეყნიურობაზე ამაღლებული და ღმერთს ზიარებული. ეთნიკური ფენომენისა და აღმსარებლობითი პრობლემის კვლევა კონკრეტული საკითხების შესწავლას მოითხოვს, მაგრამ მთავარია შენარჩუნებული იყოს ეპოქის სულისკვეთების, კულტურული ფონისა და წმინდანის სულიერი განვითარების გზის მახასიათებლები.

მსჯელობა. ქრისტიან მოღვაწეთაგან განსაკუთრებულია წმ. ნინოს სახელი, რომელიც კაბადოკიიდან იყო, ხოლო კაბადოკიას შერეული ეთნიკური წარმომავლობის მქონე მოსახლეობის სამშობლოდ მიიჩნევენ, რის გამოც წმ. ნინოს ქართველობის ვერსიაც წარმოიშვა და ტრადიციად დამკვიდრდა, თუმცა ეს ჯერ კიდევ საკვლევია.

იაკობ ხუცესის „წმ. შუშანიკის წამება“ უაღრესად მნიშვნელოვანია ეთნიკური და რელიგიურ-კონფესიური პრობლემის განსახილველად, რადგან წმ. შუშანიკის სიმბოლურ-მხატვრული ხატ-სახის წარმოჩენისას საჭიროა მის ჩამომავლობაზე საუბარიც. მამიკონიანები სომხეთის უწარჩინებულეს საგვარეულოთა რიცხვს განეკუთვნებოდნენ, ხოლო თანამდებობრივად მხედართმთავრები იყვნენ. ნ. ჯანაშიამ დაიმოწმა სომეხი ისტორიკოსის ფავსტოს ბუზანდის ცნობა, რომ მამიკონიანები ჭენთა მეფეების ჩამომავლები იყვნენ (ჯანაშია, 1980: 55-56); ნ. ადონცისა და ნ. ჯანაშიას ვარაუდით, ჭანი//ჭენი პარალელური ფორმებია და ერთ-ერთ ქართველურ ტომს უნდა მიუთითებდეს (ჯანაშია, 1980: 55-56; 59). ი. ჯავახიშვილმა ყურადღება გაამახვილა თხზულების სომხური თარგმანების სახელწოდებებზე, რომლებშიც ნახსენებია წმ. შუშანიკის წინაპრები. წმ. შუშანიკის მამა, ვარდან მამიკონიანი სომეხთა კათალიკოსის საჰაკის ქალიშვილის – საჰაკანუშის შვილიშვილი იყო. ვარდანის მამა ჰამაზასპიც ცნობილი პიროვნებაა. ვარდან მამიკონიანი თავისი ქვეყნის ინტერესებისათვის მებრძოლი პიროვნება ყოფილა. ირანის შაჰმა იეზდიგერდ მეორემ 449 წელს მას არშუშა პიტიახშთან და სხვა

დიდებულებთან ერთად, გამაზდეანება მოსთხოვა. ისინი იძულებულნი გახდნენ შაჰის ეს მოთხოვნა აღესრულებინათ. მაგრამ სამშობლოში დაბრუნებულები 451 წელს სპარსელებს აუჯანყდნენ. ვარდანი ამ აჯანყებისას, 26 მაისს, დაიღუპა. იაკობმა შესანიშნავად იცოდა ვარდან მამიკონიანისა და არშუშა პიტიახშის გამაზდეანების ამბავი, მაგრამ არსად უხსენებია, პირიქით, ვარდანი და არშუშა მისაბაძ პიროვნებებად დასახა. ჩანს, ეს მათი გამაზდეანების მხოლოდ მოჩვენებითმა ხასიათმა განაპირობა, რადგან სინამდვილეში ისინი თავიანთი ერისა და ქვეყნის, რწმენის ერთგულნი რჩებოდნენ, რადგან ამ ეპოქაში მამული და რჯული ერთმანეთს იყო გადაჯაჭვული.

ვარდანისა და არშუშას თანამოაზრეობა ოჯახური ურთიერთობითაც იყო განმტკიცებული, არშუშა პიტიახში და ვარდანის ძმა ჰმაიკი ქვისლები იყვნენ. ვარდანისა და ჰმაიკის დაღუპვის შემდეგ არშუშამ იზრუნა მათ ოჯახებზე, მათი შვილები თავისთან წაიყვანა ცურტავში და თავის შვილებთან ერთად თავად აღზარდა, რასაც წმ. შუშანიკისა და ჯოჯიკის დიალოგი ადასტურებს. იაკობის თხზულება მიუთითებს, რომ წმ. შუშანიკი კარგად იცნობდა არშუშას ოჯახს. ცხადია, მან ყველაზე უკეთ იცოდა თავისი მეუღლის, ვარსქენ პიტიახშის ხასიათი, ბუნება, დამოკიდებულება რწმენისადმი. იგი ყოველთვის გრძნობდა და განიცდიდა ვარსქენის, თავისი შჯულიერი, „საწუთროული“ მეუღლის გულგრილობას ქრისტიანული სარწმუნოებისადმი, თავადაც ბევრს ლოცულობდა და სხვებსაც ევედრებოდა, ელოცათ მისთვის, რათა *„ცვალა იგი ღმერთმან სახისა მისგან უგუნურებისა და იქმნამცა გონიერებასა ქრისტჱსსა“* (ძეგლები, 1963/1964: 12). სწორედ ამიტომ ირანის სამეფო კარზე წასული ვარსქენის სამშობლოში დაბრუნებისას დესპანად წარმოგზავნილ მონას წინასწარმეტყველურად ჰკითხა მეუღლის სულიერი მდგომარეობა. წმ. შუშანიკის სიტყვებით, ვარსქენის სივრცული არეალი, მისი რელიგიურ-აღმსარებლობითი მრწამსი და დროითი აღქმა სპარსულ-მაზდეანურია, რადგან, იგი მაზდეანური რელიგიის წესებს იცავს, მას ემორჩილება, მიდის ირანში, შემდგომშიც მისი პოლიტიკური ინტერესების განსახორციელებლად იბრძვის. თვით წმ. შუშანიკ დედოფალი ქრისტიანულ სივრცეში რჩება. „სულით სიცოცხლე“ ქრისტიანობის დაცვაა, „სულით სიკვდილი“ ქრისტიანობის უარყოფა და მაზდეანობის მიღებაა, რჯულის ღალატია.

სპარსულ-მაზდეანურ სივრცეში დამკვიდრებულს ამპარტავან ფეოდალს, ვარსქენ პიტიახშს, განზრახული აქვს, რომ ირანიდან დაბრუნებას საზეიმო ელფერი მისცეს და თანამედროვეთ მოევლინოს, „ვითარცა ერთგული“. ავტორმა ამ ორი სიტყვით გვამცნო ვარსქენის რელიგიურ-აღმსარებლობითი და ეროვნული მრწამსი. იაკობ ხუცესი არაფერს გვეუბნება ვარსქენის პოლიტიკურ ზრახვებსა და მიზანდასახულობაზე, ყურადღებას მის მიერ რწმენის უარყოფაზე ამახვილებს, მაგრამ ზემოხსენებული მრავლისმეტყველი ფრაზა უდიდეს გამომსახველობით ძალას იძენს და ვარსქენის სახეს ახალ თვისებრიობას სძენს. მართალია, ავტორი ვარსქენთან შვილებისა და ქვეშევრდომების შეხვედრის შესახებ არ გვიამბობს, მაგრამ შინიდან ეკლესიაში შვილებთან ერთად გადასული დედოფლის საქციელი პატივმოყვარე პიტიახშს უთუოდ გააღიზიანებდა. არადა, დედოფალი საშიშროებას გრძნობდა, ამიტომაც წარადგინა შვილები საკურთხევლის წინაშე და შეახსენა, რომ ისინი ქრისტიანები არიან, აქ ეზიარებოდნენ ქრისტეს სისხლსა და ხორცს და მათ თავიანთი რწმენა უნდა დაიცვან. დაისმის კითხვა, შეძლებდნენ თუ არა მცირეწლოვანი ბავშვები ქრისტიანული რწმენის დაცვა-შენარჩუნებას? საბოლოოდ მაინც ის მოხდა, რისიც ასე ეშინოდა დედოფალს, მამამ შვილები გაამაზდეანა. წმ. შუშანიკის ღმრთივსულიერება და ზნეობრივი სიმაღლე წარმოჩნდა მაშინ, როდესაც დედამ რწმენა ყველაფერზე მაღლა დააყენა, დედობაზე მაღლაც კი, და გამაზდეანების შემდეგ შვილების ნახვა აღარ მოისურვა: „*სახელიცა მათი სძაგდა სმენადო*“, ამბობს ავტორი. ქრისტიანული აღმსარებლობა, რწმენა წმინდა დედოფლის სულიერი ცხოვრების წარმმართველია და ამასვე ითხოვს ოჯახის სხვა წევრთაგან, ქართველი ერისგან, რადგან იცის ქრისტიანობის მნიშვნელობა საქართველოსთვის.

VI საუკუნის I მეოთხედში ბიზანტიასა და ირანს შორის პოლიტიკური ურთიერთობა გართულდა, რაც ქართლში ქრისტიანობისა და მაზდეიზმის ურთიერთდამოკიდებულების გამწვავების საფუძველი გახდა. შედეგი იყო ბრძოლა ამ ორ რელიგიას შორის. დასავლეთ საქართველოში ამ დროს ბიზანტია ბატონობდა, იბერიის შინაპოლიტიკურ ცხოვრებას ირანი წარმართავდა. საქმეს ის ართულებდა, რომ საქართველოში მეფობა გაუქმებული იყო და ქართლს ირანის მეფეების მიერ დანიშნული მარზპანები განაგებდნენ. აღმოსავლეთ საქართველოში

მომრაელდნენ ცეცხლთაყვანისმცემლები, რომელთაც, მართალია, „მშვიდობიანი“ ურთიერთობა დაამყარეს ქრისტიანებთან, მაგრამ მაზდეანებს სპარსთა მარზპანი უჭერდა მხარს, რის გამოც ქრისტიანებზე მეტი უფლებებით სარგებლობდნენ. ქრისტიანებსა და ცეცხლთაყვანისმცემლებს შორის ხშირად იმართებოდა ცხარე კამათი რელიგიურ საკითხებზე. იგი ზოგჯერ მშვიდობიანად თავდებოდა, მაგრამ ზოგჯერ მას ქრისტიანები მსხვერპლად ეწირებოდნენ, მით უფრო მწვავე იყო ბრძოლა, თუ საქმე გაქრისტიანებულ სპარსელს ან სხვა უცხო ტომის წარმომადგენელს ეხებოდა. ამგვარი წინააღმდეგობისა და პაექრობის ფაქტი აისახა VI ს. შუა წლებში ანონიმი ჰაგიოგრაფის თხზულებაში „წმ. ევსტათი მცხეთელის წამება“. მასში ასახულია ანტიმაზდეანური პოლემიკა, რომელიც მიმდინარეობდა ქრისტიან მოწამესა და ცეცხლთაყვანისმცემელ მარზპანებს შორის. ამ პოლემიკის არსი ისაა, რომ ცეცხლის ღვთაებრიობაა უარყოფილი.

თხზულების ავტორი საღვთისმეტყველო ლიტერატურაში უაღრესად განათლებული, მოაზროვნე პიროვნებაა, რომელიც ზედმიწევნით იცნობს ბიბლიურ წიგნებს; არის შესანიშნავი პოლემისტი, რასაც რელიგიის საკითხებზე გამართული კამათი მოწმობს. სპარსელი ევსტათი, გაქრისტიანებამდე გვირობანდაკი, მცხეთაში მცხოვრებ სპარსელებს განუდგა, მაზდეანურ სადღესასწაულო რიტუალებში მონაწილეობა არ მიიღო. როდესაც თანამემამულეებმა უსაყვედურეს, მაზდეანურ დღესასწაულს რატომ არ აღნიშნავდა, ნეტარმა ევსტათიმ „განიცინნა“ და უპასუხა, რომ მას ცეცხლთაყვანისმცემლობა ჭეშმარიტ რელიგიად არ მიაჩნია, რადგან ცეცხლი, რომელსაც ადამიანი ანთებს, ღმერთი არაა. ევსტათი „გაცინებით“ გამოხატა თავისი მრწამსი. ქრისტიანული განათლებისა და ლიტურგიული ცნობიერების კვალობაზე, ინტელექტუალური საუბრებით იგი ქადაგებს არისტიდეს აპოლოგიას; ავტორი ევსტათის სახით ქმნის პერსონაჟს, რომელსაც წარმართობის – ამ შემთხვევაში მაზდეანობის – ფილოსოფიური უარყოფა შეუძლია. ამის უნარი კი ადამიანის ინტელექტუალიზმის მაუწყებელია. მისი სიცილიც ბნელზე გამარჯვების სახე-სიმბოლოდ ისახება. სიყმაწვილეშივე აღძრულმა რელიგიური მრწამსის ძიების სურვილმა განაპირობა ევსტათის სახის განვითარება, შედეგად სულიერ სრულყოფილებას მიაღწია. მცხეთის ციხისთავს, უსტამს, მოახსენეს ევსტათის მიერ სპარსელთა დღესასწაულის უარყოფა. მან

მომავალ წმინდანს ურჩია დაბრუნებოდა ცეცხლთაყვანის-მცემლობას. მისი ცდა ამაო აღმოჩნდა. სპარსელი ევსტათი თავისი სულიერი ძიების შედეგად არჩეული ქრისტიანული სარწმუნოების ერთგული დარჩა ბოლომდე და ეწამა კიდეც მისთვის. ასეთივე რელიგიურ-აღმსარებლობითი პოლემიკის, ანტიმაზდეისტური პოლემიკის კვალი ჩანს ამავე ეპოქის თხზულებაში „წმ. აბიბოს ნეკრესელის წამებაში“ (კეკელიძე, 1955).

რელიგიურ-აღმსარებლობითი პრობლემა აისახა თხზულებაში „წამებაჲ ცხრათა ყრმათა კოლაელთაჲ“, რომლის პერსონაჟები ბავშვები არიან; მას მთავარ მოტივად სახარების სწავლება გასდევს: „*რომელმან არა დაუტევოს მამაჲ თჳსი და დედაჲ თჳსი, დანი და ძმანი, ცოლი და შვილნი, და არა აღიღოს ჯუარი თჳსი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს*“ (მათე, 19, 5; მრ. 10, 7). მოციქულთა სიტყვები ძირითადი კვანძია, რომლის გარშემოც თხზულების სიუჟეტი ვითარდება. ბავშვები მაცხოვრის სიყვარულის გამო წარმართ მშობლებს დასცილდნენ, რათა თავიანთი უსჯულოებით მათი თანაზიარნი არ გამხდარიყვნენ, მეტიც, მათთან ერთად საზრდოსაც აღარ ღებულობენ. კოლაელი ყრმები წარმართი მშობლებისგან სწავლებასაც არ იღებენ, სულიერადაც შორდებიან მშობლებს. სიუჟეტის ასეთი განვითარებით ავტორი ცდილობს გაქრისტიანების მოსურნეებს აუხსნას, რომ ოჯახმა და ნათესავებმა ხელი ვერ უნდა შეუშალონ ქრისტეს სჯულზე მოქცევასა და ნათლობაში; ავტორი ცდილობს გაქრისტიანების მოსურნეებს სიმტკიცისკენ მოუწოდოს, ბავშვები ყველასთვის სამაგალითონი არიან. ისინი „შვილნი მეკერპეთანი“ იყვნენ და ღმერთის შვილები გახდნენ, გაქრისტიანებით უფლება მიიღეს შესულიყვნენ „სახლსა ღმრთისასა“; მშობლებს კი ჰგონიათ, რომ ბავშვები წარწყმდნენ გაქრისტიანებით. შვილების საქციელით აღშფოთებული და გონდაკარგული მშობლები მთავრის წინაშე შვილების დასჯას ითხოვენ, რაც სრულყოფილად წარმოაჩენს მათი შინაგანი სამყაროს სიღარიბეს. ეს არაა შვილების მოყვარულ მშობელთა საქციელი. მხეცქმნილ მშობლებს შვილები დასახოცად ისე მიჰყავთ იმ ადგილისაკენ, სადაც ბავშვებმა ნათელი იღეს, თითქოს ისინი მათი შვილები არც არიან. ავტორის პოზიციაც გამოიკვეთა: ბავშვები მშობლებს წმინდა კრავებივით დასაკლავად მიჰყავთ დასასჯელად. ამ ეპიზოდის ასახვისას მწერალი თავის დამოკიდებულებას გვამცნობს, რეალისტურად, მძაფრად ამბობს სათქმელს, რაც

მკითხველსა თუ მსმენელზე ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს; ორმოში ჩაყრილი ბავშვების განწყობა შთამბეჭდავია: მათ არაფრის ეშინიათ! ისინი მხოლოდ ქრისტეს რწმენითა და სიყვარულით მოქმედებენ, რასაც მათი უკანასკნელი სიტყვები მოწმობს: *„ჩუენ ქრისტეანენი ვართ და მისთჳსცა მოვსწყდებით და მოვკუდებით, რომლისა მიმართ ნათელ ვიღებთ“* (ძეგლები, 1963/1964: 185). ამით ბავშვების შინაგანი ბუნების სიძლიერე მუღავნდება; ავტორმა სულ ორიოდე წინადადებით სიღრმისეულად გადაგვიშალა ბავშვების შინაგანი სამყარო. იგი რელიგიურ პოლემიკას არ მართავს, არ საუბრობს კერპთაყვანისმცემლობის ავ-კარგზე, თუმცა, მისი პოზიცია ნათელია. მას მშობლის გრძნობებზე, საქციელზე უფრო გადააქვს ყურადღება; იგი საგანგებოდ არჩევს სიტყვებს, რათა წარმართებთან ურთიერთობა არ გაამწვავოს, თუმცა, აღწერილით წარმართი მშობლების საქციელის სიმძიმეს აჩვენებს. თხზულება ერთ-ერთი საუკეთესო ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებია, რომელშიც შვიდა-ცხრა წლის ასაკის ბავშვები თავიანთი ძლიერი ნებისა და ქრისტიანობისადმი რწმენის სიმტკიცით, ოჯახისა და ნათესავების დათმობით ზეციური მოქალაქობის მოპოვების გზას დაადგნენ.

იოვანე საბანის ძის თხზულების მიზანდასახულობა მის პირველსავე თავშია გადმოცემული, იგი მოგვითხრობს ქართლის სამთავროში მიმდინარე პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ვითარების მძიმე სურათის შესახებ. თავისი ქვეყნის გულშემატკივარი ავტორი დეტალურად აღწერს, თუ როგორი მდგომარეობაა არაბთა ბატონობის ქვეშ მგმინავი ჩვენი ქვეყნის შიგნით. ეს ის დროა, როდესაც ქართლში სარკინოზები, ანუ არაბები ბატონობენ, რომელთაც ავტორი „სოფლისა მპყრობელთ“ და „ზედამდგომელთ“ უწოდებს (ძეგლები, 1963/1964: 49-50). მთლიანად ამ მონაკვეთის ყოველი სიტყვა ეროვნულ-სარწმუნოებრივი და სახისმეტყველებითი საზრისითაა აღსავსე, თითოეულ სიტყვაში გამოსჭვივის ერის აწმყოსა და მომავალზე მაფიქრალი და მზრუნველი გულმტკივნეული ადამიანის შინაგანი სულიერი განწყობილება, წუხილი და შეუფარავად გამოხატვა მძიმე ყოფისა. „ყურესა ამას ქუეყანისასა“ საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური და მსოფლმხედველობრივი მდგომარეობის კონცეპტუალური განხილვის საფუძველს იძლევა. რ. სირაძემ „ყურე“ იმდროინდელი მოძღვრებით კულტურული მსოფლიოს, იგივე ქრისტიანული სამყაროს განაპირა

მხარის დასასრულად განმარტა. საქართველო, როგორც „ყურესა ამას ქუეყანისასა“ მდებარე ქვეყანა, მუდმივად ფხიზლად უნდა იყოს. სწორედ ამ გადასახედიდან არის საქართველოს ისტორიული მისია დანახული. ამიტომ იოვანე საბანის ძის ეროვნული იდეალები, ეროვნული თვითშემეცნების პრობლემა ეროვნული ღირსების ფონზეა წარმოდგენილი, რაც შემდეგ ძირითად მოტივებს ეფუძნება: 1. ქართველები „ესე შემოკრებულსა ამას უამსა მეშვიდესა დარსა ზედა ვდგათ“ (ძეგლები, 1963/1964: 49), რაც ქრისტიანული რელიგიის ესქატოლოგიურ მოტივზე მიუთითებს და რაც კონცეპტუალურია კონკრეტულად იოვანე საბანისძის მსოფლმხედველობისათვის და, საზოგადოდ, ქრისტიანული ლიტერატურისათვის, ხოლო ესქატოლოგია მოძღვრებაა სამყაროს აღსასრულის შესახებ. ფსალმუნთა მიხედვით, „წელი ერთი, ვითარცა ათასი“ (ფს. 89, 4), რაც იმას ნიშნავს, რომ ერთი წელი ათასეულს უტოლდება და, აქედან გამომდინარე, „მეშვიდე დარსა ზედა“ დგომა ქართველი ერის მეშვიდე ათასწლეულში ყოფნას გულისხმობს. მერვე უკვე მარადიულობაა. ქრისტიანულ რელიგიაში გავრცელებული თვალთახედვით, სამყარო და კაცობრიობა იარსებებს შვიდი ათას წელს; ქრისტიანულ საღვთისმეტყველო-პატრისტიკულ ლიტერატურაში შეინიშნება სამყაროსა და კაცობრიობის სამზადისი მარადიული ცხოვრებისათვის, რომელიც სიმბოლურად მერვე საუკუნეში დადგება; შვიდი საუკუნე ქვეყნის არსებობის უამია, ხოლო მერვე – მარადიულობასთან ზიარებაა; ე. ი. იოვანე საბანისძის მსოფლმხედველობის თანახმად, ქართველები ბოლო უამის წინაშე დგანან, მეშვიდე ათასწლეულში, რომელსაც მოსდევს მარადიულობა, „მერვე დარი“; ესქატოლოგიური მოტივის დამოწმება და მისი გამოყენება ავტორის მსოფლმხედველობაში მოწმობს გაფრთხილებას, ავტორის თქმით, მოახლოებულია ბოლო უამი, სამყაროს აღსასრული; 2. ქართველები „ყურესა ამას ქუეყანისასა“ ცხოვრობენ და იცავენ ქრისტიანულ რელიგიას კულტურული მსოფლიოს, ქრისტიანული სამყაროს განაპირა მხარეში; ამ თვალსაზრისსაც კონცეპტუალური მნიშვნელობა აქვს, რადგან იოვანე საბანის ძე ამ თხზულებას წერს იმ დროს, როდესაც ბიზანტიაში ხატმებრძოლეობაა გავრცელებული. მართალია, ირინე დედოფლის ინიციატივით 787 წელს მოწვეულმა VII მსოფლიო საეკლესიო კრებამ უარყო ხატმებრძოლეობა და

აღადგინა ხატების თაყვანისცემა, მაგრამ კიდევ ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა ხატების თაყვანისცემის აღდგენამდე ბიზანტიის იმპერიაში; 3. უკვე ხუთას წელზე მეტია, რაც საქართველო ქრისტიანულ რელიგიას ეზიარა; 4. მართალია, ქართველები უმძიმეს მდგომარეობაში არიან და *„ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“* (ძეგლები, 1963/1964: 50), მაგრამ მამაპაპური გზის ჩვეულებას მისდევენ და აგრძელებენ ღვთის სამსახურსა და ქვეყნის ერთგულებას, მიუხედავად იმისა, რომ ასე ცოტანი არიან ქრისტიანობის ერთგულნი; 5. მიუხედავად ძლიერი სარწმუნოებრივი ომებისა და რყევებისა, ქართველი ერი არ განშორებია ქრისტიანულ სარწმუნოებას და მხოლოდშობილი ძის ერთგული დარჩა; 6. პირველი თავის დასასრულს ასახულია მსოფლმხედველობრივი მრწამსი, რომ ქრისტესადმი ქართველთა რწმენა ბერძნებისას არ ჩამოუვარდება; უნდა გავიხსენოთ ქართველთა შეურყეველი მართლმადიდებლობა, ქართველები არასოდეს განდრეკილან ქრისტეს სჯულისაგან, მათ არ შეხებიათ ხატმბრძოლობის ის დიდი ტალღა, რომელმაც ბიზანტიის იმპერია მოიცვა; 7. საქართველო წმინდანთა დედაა, ე. ი. ქართულ სამოციქულო ეკლესიას ბევრი წმინდანი ჰყავს, ქართველიც და არაქართველიც.

„კონსტანტი კახის წამებასაც“ ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოტივი წარმართავს. თხზულების ავტორი, იოანე საბანიძესთან ერთად, ეროვნულ პოზიციებზე დგას და ქრისტიანული სარწმუნოების დაცვისაკენ მოუწოდებს ერს. ამ დრომდე შექმნილ ქართულ ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა პერსონაჟ მოწამეთა უმეტესობა წარმოშობით არაქართველია: წმ. შუშანიკი, წმ. ევსტათი მცხეთელი, წმ. აბო ტფილელი; ავტორი განსაკუთრებული სიხარულით აღნიშნავს, რომ კონსტანტი ქართველია. 85 წლის სათნო მოხუცმა თავი გაწირა, ქართველთა შორის დიდი მოწამე გამოჩნდა. უსჯულო მეფე ჰეროდეს ემსგავსება და თხზულების ქვეტექსტში ისიც იგრძნობა, რომ არაბების ნაწილი პატივისცემით იყო განწყობილი ღირსეული მოხუცისადმი და არ უნდოდათ მისი მოკვლა. სიმბოლურია წმ. კონსტანტის აღსრულების დღე, ესაა წმ. გიორგის ხსენების დღე, 10 (23) ნოემბერი, პარასკევი. ჰაგიოგრაფი კონკრეტული თარიღის დასახელებასთან ერთად პარასკევს მოწამეობის ფაქტსაც სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან იგი მაცხოვრის ჯვარცმის დღეა. ტექსტს მოსდევს ბიზანტიის დედოფლის თეოდორას ეპისტოლე, რომელიც გამოგზავნილია კონსტანტის

შვილებისა და „სახლისა მისისათა ნათესავთა“ მიმართ. მასში წმინდანის მოწამეობრივი ღვაწლია შეფასებული და შექებული. კონსტანტი, როგორც ჩანს, უკვე წმინდანად არის შერაცხული ქართული ეკლესიის მიერ და იმიტომაც აღიარებს დედოფალი მას ბიზანტიელთა და ქართველთა მეოხად.

სტეფანე მტბევარი „წმ. გობრონის წამებაში“ თავისი ქვეყნის სატკივრით უაღრესად დაინტერესებული მწერალია, რადგან დეტალურად აღწერს იმ ვითარებას, რომელშიც საქართველო აღმოჩნდა არაბთა ბატონობის დროს, განსაკუთრებით კი აბულ-კასიმის შემოსევების დროს. ქართველი მეცნიერები კრიტიკულად აფასებენ ჰაგიოგრაფის პოზიციას, მის მიერ გამოთქმულ პროვიდენციულ შეხედულებებს. კერძოდ, ი. ჯავახიშვილის აზრით, ჰაგიოგრაფს საქართველოსა და სომხეთის პოლიტიკური ვითარებისა და აბულ-ყასიმის შემოსევის უტყუარი სურათი დაუხატავს, არაბთა შემოსევა ღვთის მიერ სომხების დასჯად მიუჩნევია, რის გამოც იგი სამართლიანად შენიშნავდა, რომ მწერალს დააკავიწყდა, იმავე ამირას შემოსევისაგან მხოლოდ სომხები არ დაზარალებულან, არამედ მართლმადიდებელი ქართველებიც. ამავე აზრისა იყო კ. კეკელიძეც. სტეფანე მტბევარმა აღნიშნა სომეხთა ქვეყნის განადგურების მიზეზი – მათ მიერ წმინდა მცნებების შეუსრულებლობა, რის წარმოსაჩენადაც სომხეთის აკლების ამბავი სოდომ-გომორელთა განადგურებას შეადარა. მწერლის იდეოლოგიური მრწამსის თანახმად, არაბთა შემოსევებმა მძიმე შედეგები მოიტანა ორივე ქვეყნისათვის, ყოველივე ეს მან ბიბლიური კონცეფციის შესაბამისად გაიაზრა, რომ ღმერთი გამოცდას უწყობს თავის საყვარელ, რჩეულ ერს. ქართველებს ღვთისგან მოვლენილ განსაცდელად უნდა მიეჩნია არაბთა დროებითი მძლავრობა და თვალწინ ჰქონოდა სომეხთა მაგალითი, რათა უკეთური საქციელის ჩადენისა და ურწმუნობის შემთხვევაში მსგავსი ხვედრი არ განეცადა. მწერალმა საქართველოს მარადიული მშვიდობიანობის ჟამი იწინასწარმეტყველა და ქართველი ერი მომავლის რწმენით აღავსო.

VI საუკუნის საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში მთავარ მოვლენად მიჩნეულია ასურელი მამების ქართლს მოსვლა. საქართველოში მათ ჩაუყარეს საფუძველი სამონასტრო ცხოვრებას, დიდი შრომა გასწიეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეკლესია-მონასტრების აშენებითა და ქადაგებით ქრისტიანობის განსამტკიცებლად. არსებითად, მათი მოღვაწეობით

დასრულდა IV საუკუნეში წმ. ნინოს მოღვაწეობით დაწყებული საქართველოს სრული ქრისტიანიზაცია. ამ მხრივ, ასურელი მამების დამსახურება განსაკუთრებულია ქართველი ერის ისტორიაში და უტოლდება ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს მოღვაწეობას, რადგან ისინი საქართველოში დიოფიზიტური ცნობიერების დამკვიდრების სათავეებთან დგანან. ასურეთიდან მოსულ წმინდა მამათა მოსვლასთან დაკავშირებით დაისმის რამდენიმე კითხვა, რომელთაგან ჩვენთვის ამჯერად საინტერესოა მათი რელიგიური მრწამსი: დიოფიზიტობას აღიარებდნენ, მონოფიზიტობას თუ ნესტორიანობას, რაზეც სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. სარწმუნოებრივად VI ს. ქართლი ჭრელ სურათს იძლევა, ოფიციალურად ქართული ეკლესია სომხურთან ერთად მონოფიზიტობას აღიარებდა, მაგრამ უკვე დიოფიზიტობაც საკმაოდ გავრცელებული იყო. ასე რომ არ ყოფილიყო, VII საუკუნის დასაწყისში, 607 წლისათვის, კირიონ კათალიკოსი ვერ შეძლებდა ქართლის უმტკივნეულოდ მოქცევას დიოფიზიტობაზე. ასევე, VI ს. ქართლში გავრცელებული ყოფილა ნესტორიანობაც, თუმცა, სხვებზე ნაკლებად. თეორიულად თანაბრად დასაშვებია მათი დიოფიზიტობაც, მონოფიზიტობაც და ნესტორიანობაც. „ცხოვრებათა“ ცნობებით, ასურელი მამები სარწმუნოებით მართლმადიდებლები, დიოფიზიტები ჩანან. ასეთებად მიიჩნევიან ისინი სხვა წყაროებშიც. ასურელი მამები ქართლში დიოფიზიტობის დასამკვიდრებლად უნდა მოსულიყვნენ.

რელიგიურ-აღმსარებლობითი პრობლემა გიორგი მერჩულის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაშიც აქტუალურია. წმ. გრიგოლ ხანცთელი კლარჯეთში ბერმონაზვნურ ცხოვრებას ამკვიდრებს, რაც სარწმუნოებისა და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ განმტკიცებას ისახავს მიზნად. წმ. გრიგოლმა და აშოტ კურაპალატმა არტანუჯის ციხე-ქალაქში პირველსავე შეხვედრაზე ერთმანეთში შეიცნეს თანამოღვაწე, თანამებრძოლი, თანასულიერი და თანაშემოქმედი. მხოლოდ ურთიერთთანადგომით და თანაღვწით შეიძლებოდა ღვთისაგან დაკისრებულის აღსრულება: ერის სულიერი წინამძღვარი წმ. გრიგოლია, საქართველოს ფიზიკურ-სულიერი წინამძღოლი აშოტი. თავად აშოტმა წმ. გრიგოლი ბიბლიურ წინასწარმეტყველს შეადარა: *„მეფეთა ისრაჱლისათა ჟამად-ჟამად წინაწარმეტყველი აღუდგინის ღმერთმან სიქადულად მათა და ზღუდედ შჯულისა... ჟამთა ჩუენთა შენ გამოგაჩინა ღმერთმან ქრისტეანეთა სიქადულად“*

(ძეგლები, 1963/1964: 262). სამოელ წინასწარმეტყველის კვალობაზე, წმ. გრიგოლისაგან მოელის წმ. აშოტ კურაპალატი, ვითარცა დავით წინასწარმეტყველი, მოღვაწეობას შჯულის დასაცავად, მორწმუნეთა შესაწევნელად, ურწმუნოთა სამხილებლად. თავის მხრივ, ისევე როგორც სამოელ წინასწარმეტყველმა სცხო დავითს და დაუდგინა იგი მეფედ ისრაელს, ასევე წმ. გრიგოლის დალოცვაში აშოტის მეფობის კანონიკურად ცნობა, ბაგრატიონთა გამორჩეულობაა აღიარებული მათი ბიბლიური ჩამომავლობის წარმოჩენით: *„დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ჭელმწიფეო, მეფობად და სათნოებანიცა მისნი დაგიმკჳდრენ ქრისტემან ღმერთმან“* (ძეგლები, 1963/1964: 262). წმ. გრიგოლისა და აშოტის საუბარში მოძებნილია ის იდეოლოგიური საყრდენი, რასაც უნდა დამყარებოდა ქვეყნის ეკლესიური და პოლიტიკური ერთიანობა.

1057 წელს წმ. გიორგი მთაწმინდელს მოუხდა ანტიოქიის პატრიარქის თეოდოსის წინაშე წარდგომა და საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის დაცვა. მან დაასაბუთა ქართული ეკლესიის სამოციქულო წილხვედრილობა და მისი მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებლობა. გიორგი მცირე მოგვითხრობს წმ. გიორგი მთაწმინდლისა და ანტიოქიის პატრიარქის თევდოსის შეხვედრის მიზანსა და შედეგზე. მსჯელობა შეეხებოდა ქართველთა მართლმადიდებლობისა და ქართულ ეკლესიაში ლიტურგიის შესრულების საკითხს. ანტიოქიის ეკლესია ქართული ეკლესიისაგან მორჩილებას მოითხოვდა. პატრიარქი და მისი მომხრენი აცხადებდნენ, რომ ქართული ეკლესია ანტიოქიის საპატრიარქოს უნდა დამორჩილებოდა. ანტიოქიის პატრიარქმა წმ. გიორგი მთაწმინდლისაგან გამოიკითხა ყოველი, რაც მას აინტერესებდა ქართულ ეკლესიასთან დაკავშირებით. წმ. გიორგი მთაწმინდელმა მოატანინა წმ. ანდრია პირველწოდებულის „მიმოსლვანი“ და ანტიოქიის პატრიარქს დაუდასტურა ქართული ეკლესიის სამოციქულოდ მიჩნევის საფუძველი, დაიცვა მისი ავტოკეფალურობა: *„...წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ და ვინაჲთგან ერთი ღმერთი გჳცნობიეს, არღარა უარ-გჳყოფიეს და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩუენი“* (ძეგლები, 1967: 153-154). წმ. ანდრია პირველწოდებულის „მიმოსლვანის“ დამოწმებით მან მიუთითა, რომ ქართული ეკლესია დაფუძნებულია წმ. ანდრია მოციქულის მიერ, ხოლო ანტიოქიისა – წმ. პეტრეს მიერ,

ამიტომ უმცროსს, ანუ ანტიოქიის ეკლესიას, ჰმართებს უფროსის, ანუ ქართული ეკლესიის მორჩილება, ვითარცა პირველწოდებულ ანდრიას უნდა ემორჩილებოდეს წმ. პეტრე, ძმის ინიციატივით შემდგარი ქრისტეს გზაზე. პატრიარქი თევდოსი წმ. გიორგი მთაწმინდლის მონათხრობის საფუძველზე დარწმუნდა მის სიმართლეში და ბერს მიმართა შემდეგი სიტყვებით: *„დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, სხჳთა კულა ყოვლითა სწავლულებითა სრულიად ბერძენი ხარ“* (ძეგლები, 1967: 151). წმ. გიორგი მთაწმინდლის პოლემიკამ ანტიოქიის პატრიარქთან ეჭვმიუტანლად დაადასტურა ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობა. წმ. გიორგი მთაწმინდელმა ბიზანტიის იმპერატორთან საუბრისასაც აღნიშნა, რომ საქართველო მართლმადიდებლობას განუხრელად იცავდა და იგი არასოდეს მიდრეკილა რომელიმე მწვალებლური მიმდინარეობისაკენ (ძეგლები, 1967: 178). ეს ეპიზოდები „წმ. გიორგი მთაწმინდლის ცხორებიდან“ მოწმობენ წმ. გიორგი მთაწმინდლის შეუპოვარ ბრძოლას საქართველოს ეკლესიის უფლებების დასაცავად. წმ. გიორგი მთაწმინდელსა და ანტიოქიის პატრიარქს შორის კამათი იმასაც მოწმობს, რომ ამ დროისათვის ქართული გალობის მრავალხმიანობა საუკუნეებგამოვლილია და იგი კანონიკურია; წინააღმდეგ შემთხვევაში ანტიოქიის პატრიარქი ამას უთუოდ გამოიყენებდა წმ. გიორგი მთაწმინდელის საბუთების წინააღმდეგ. პრობლემა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი შესწავლა უნდა გაგრძელდეს. ამ ეტაპზე ქართულ ჰაგიოგრაფიაში ეთნიკური და რელიგიურ-აღმსარებლობითი საკითხის კვლევამ წარმოაჩინა ამ ჟანრის დამსახურება ქვეყნის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი ვითარების მოწესრიგებაწარმართვის საქმეში.

ჰიმნოგრაფია ეთნიკური თვალსაზრისით წმინდანთა ხატსახეს აჩვენებს მხოლოდ იმ დროს, თუ წმინდანს ქრისტიანობისათვის წამება და თავდადება უწევს. კერძოდ, ეს შეიძლება დავინახოთ წმ. აბოსადმი მიძღვნილ საგალობლებში, რადგან წმ. აბო ქართლში მოვიდა „უცხოდ უცხოთა შჯულითა“ და თავისი სულიერი სიძლიერით ფიზიკურად „მძლავრი“ არაბები სძლია. წმ. კონსტანტის შესახებ დაწერილ საგალობლებში წმ. კონსტანტის ქართველობაზე იმიტომაა ყურადღება გამახვილებული, რომ მან სარწმუნოებას, რომელიც დიდი ხნის დამკვიდრებულია საქართველოში, არ უღალატა და ქართველ მომავალ თაობებს სულიერი სიმტკიცის, რწმენის ერთგულების,

ღვთის სიყვარულის მაგალითი უჩვენა. ათონელ მოღვაწეთა სახელზე დაწერილ საგალობლებში კი წმ. იოვანეს, წმ. ეფთვიმეს, წმ. გიორგი მთაწმინდელების ხატ-სახე ქრისტიანული მწერლობის გამდიდრების, სულიერი საუნჯის შეძინების, ქართველი ერის სულიერი აღზრდის რწმენითაა შთაგონებული.

დასკვნა. ქართული ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია ეთნიკურ და აღმსარებლობით პრობლემას განიხილავს და წარმოაჩენს, როგორც ერთიან სისტემას ადამიანის, წმინდანის სრულყოფილების დასადასტურებლად, წმინდანის ამაღლებული, ზესთასოფელში დამკვიდრებული სახე ეთნიკურ ნიშანს ატარებს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ავტორს სურს აჩვენოს მათი წარმომავლობა, წმინდანის ამქვეყნიურობაზე ამაღლებული სახის მონუმენტურობას ეთნიკურობა არ განსაზღვრავს, წმინდანის აღმსარებლობის ფენომენის საჩვენებლად ეთნიკურ იდენტობას არ ანიჭებს მნიშვნელობას, მთავარია, რომ იგი ქრისტიანია და სწორედ ქრისტეს სჯულის ერთგულებისათვის ეწამება და წამების გვირგვინით შემკული ზესთასოფელში იმკვიდრებს ადგილს, როგორც ზეციური მოქალაქე, რისთვისაც ეწამებოდა//იღვწოდა ამქვეყნიურ ცხოვრებაში. სხვაა ავტორის–ჰაგიოგრაფია/ჰიმნოგრაფის – პოზიცია, თუ რა მიზანდასახულობით წარმოაჩენს წაგებულის გვირგვინით შემკული წმინდანის სახეს, ან მოღვაწის უნაკლო ხატ-სახეს, რომელთა ღვაწლს სარწმუნოებრივთან ერთად ეროვნულიც წარმართავს.

დამოწმებული ლიტერატურა:

კეკელიძე, 1955: კეკელიძე კ., ანტიმაზდეისტური პოლემიკის ფილოსოფიური დასაბუთება უძველეს ქართულ მწერლობაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1955.

სირაძე, 1987: სირაძე რ., ქართული აგიოგრაფია, თბ., 1987.

ძეგლები 1963-1964: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ლ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963-1964.

ძეგლები 1967: ძველი ქართული აგიორგაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გამოსაცემად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, მ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1967.

ჯანაშია, 1980: ნ. ჯანაშია, „შუშანიკის წამება“, თბ., 1980.